



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/4348-15

21 იანვარი, 2016 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები – ნატალია ნაზლაიძე, გოდერძი გიორგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი - ი. პ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 ივლისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება

სააპელაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ საჩივარს, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის, საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად,



განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 ივლისის განჩინებით გ. პ.-ს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა; შეჩერდა კერძო აღმასრულებლის ვ. გ.-ს წარმოებაში მყოფი სააღსრულებო საქმე A150474XX (25.06.2015), ნოტარიუსის ი. ხ.-ს მიერ 2015 წლის 24 ივნისს გაცემული #150662XXX სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე (ტ.2. ს.ფ. 268-272).

2015 წლის 10 აგვისტოს აღნიშნულ განჩინებაზე ი. პ.-მ საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა (ტ.2. ს.ფ. 277-280).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 სექტემბრის განჩინებით ი. პ.-ს საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 ივლისის სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას გადმოეგზავნა (ტ.2. ს.ფ. 334-340).

მოცემულ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის შესაბამისად არ დააკმაყოფილა ი. პ.-ს საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ასეთი განცხადება გადაუდებელ შემთხვევაში, შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდე. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანწილად გაძნელდება აღსრულება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ დარღვეულ უფლებასა, თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება, არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები გადაწყვეტილების აღსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს. სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ



უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარეობს არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, ალბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე გ. პ.-მ 2015 წლის 28 ივლისის დაზუსტებული სარჩელით ითხოვა, ბათილად იქნას ცნობილი 2008 წლის 14 მარტს გ. პ.-სა და შპს „მ.-ს“ შორის დადებული უძრავი ქონების, რომლის ს/კ № XX.XX.XX.XX/XXX საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება მათი დადების დღიდან თანმდევი შედეგებით, ბათილად იქნას ცნობილი 2008 წლის 30 მაისს გ. პ.-ს და შპს „მ.-ს“ შორის დადებული უძრავი ქონების, რომლის ს/კ № XX.XX.XX.XX/XXX საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება მათი დადების დღიდან თანმდევი შედეგებით; შპს „მ.-ს“ შპს „ს. გ“ და იბა „ა. ბ.-ს“ დაეკისროთ გ. პ.-ს სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება მითითებული უძრავი ქონების თავდაპირველ მდგომარეობაში აღსადგენად; როგორც მოჩვენებითი გარიგება, ბათილად იქნას ცნობილი 2014 წლის 14 აპრილს მ. ჯ.-ს და ნ. გ.-ს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, მდებარე ქ. თბილისი, გზატკეცილი №, ჩიხი XX, №X, და №X X ბლოკი, I სართული, ბინა №X, რომლის ს/კ №XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XX.XXX-ია. ყადაღისაგან გათავისუფლდეს და ზიანის ანაზღაურების მიზნით, იბა „ა. ბ.-ს“ 2013 წლის 14 თებერვლის დამფუძნებელ წევრთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე გ. პ.-ს საკუთრებად იქნეს ცნობილი უძრავი ნივთი, მდებარე: ქ. თბილისი, გზატკეცილი №, ჩიხი XX, №X, და №X, X ბლოკი, I სართული ბინა №X საერთო ფართობით - 76.51 კვ.მ, ს/კ №XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XX.XXX. აგრეთვე, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ გ. პ.-ს მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 3 000 ლარის ოდენობით, სარჩელის უზრუნველსაყოფად გადახდილი თანხა 50 ლარის ოდენობით და სხვა საპროცესო და არასაპროცესო ხარჯები.

სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით, პალატა მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია სარჩელის უზრუნველყოფის ის ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, რომლებიც ამავე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული არ არის, იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის.



„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთანავე, სააღსრულებო ფურცლის ან/და იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრება, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, არ აჩერებს აღსრულებას. ამდენად, მითითებული ნორმის როგორც სიტყვა-სიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტების შედეგად, ნათელია, რომ კანონი იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრების შესაძლებლობას უშვებს, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ პირის უფლება სასამართლო წესით იდავოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით დარღვეული უფლებისა თუ ინტერესის აღსადგენად, იწვევს რეალური საპროცესო-სამართლებრივი მექანიზმების ამუშავების საჭიროებას. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო, მოთხოვნის იურიდიული მართებულობის პირობებში, არ შეაჩერებს სააღსრულებო ფურცლის მოქმედებას, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება აღსრულებელი დარჩება. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის უფლება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ლეგიტიმურია და შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებაც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. პალატა, მიიჩნევს, რომ თუ არ შეჩერდა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება, იმ სანოტარო აქტისა თუ მოქმედების ლეგიტიმურობაზე მსჯელობას, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, აზრი ეკარგება. შესაბამისად, აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სწორედ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნებს ემსახურება.

საჩივრის ავტორი ი. პ. საჩივარში აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობია სარჩელის შინაარსი, რადგან იგი არ ჩაბარებია და მისთვის საერთოდ გაუგებარია, თუ რის საფუძველზეა მოპასუხე აღნიშნულ საქმეში, ვინაიდან მოსარჩელესთან არანაირ სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება. ი. პ. განმარტავს, რომ მასსა და თანამოპასუხე ნ. გ.-ს შორის 2015 წლის 26 იანვარს გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც არ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ვინაიდან ზემოაღნიშნული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებულ უძრავ ქონებაზე დადებული იყო ყადაღა. 2015 წლის 1 აპრილს ი. პ.-სა და ნ. გ.-ს შორის სანოტარო წესით გაფორმდა ვალის აღიარების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, ამ უკანასკნელმა აღიარა 2015 წლის 26 იანვრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი დავალიანება. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ზემოთხსენებული ვალის აღიარების ხელშეკრულების მიხედვით, ნ. გ.-ს მიერ დადგენილ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეთანხმდნენ ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე. ვინაიდან, ნ. გ.-მ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება დადგენილ ვადაში, ი. პ.-მ მიმართა ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით. 2015 წელს 24 ივნისს ნოტარიუს ი. ხ.-ს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე განისაზღვრა ნ. გ.-ს კუთვნილი ნებისმიერი ქონების დაყადაღება და იძულებითი აღსრულება.

საჩივრის ავტორი ი. პ. საჩივარში უთითებს, რომ ის არ არის ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების მხარე, ვინაიდან არანაირ სამართლებრივ ურთიერთობაში მოსარჩელესთან არ იმყოფება და მისთვის გაუგებარია, თუ რის საფუძველზეა მოპასუხე კონკრეტულ საქმეში. იგი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მართლზომიერიც რომ აღმოჩნდეს სხვა მოპასუხეების მიმართ, ეს გავლენას ვერ იქონიებს მისი უფლების და



მოთხოვნის აღსრულებაზე, ვინაიდან არანაირ სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება არც მოსარჩელესთან, არც მოპასუხეებთან, გარდა ნ. გ.-სა, რომელიც წარმოადგენს მის მოვალეს კანონის დაცვით, თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, ის მოსარჩელის მოთხოვნისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სათანადო ადრესატი არ არის, მის მიერ გასაჩივრებული განჩინება მიმართულია იმ პირის მიმართ, რომელიც სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე არ არის და მოსარჩელის მიმართ არც რაიმე ვალდებულება გააჩნია (ტ.2. ს.ფ. 277-280).

პალატა განმარტავს, რომ საჩივრის ავტორი ი. პ. წარმოადგენს, თუ არა, მოსარჩელის სარჩელზე პასუხისმგებელ სუბიექტს, სარჩელისა და შესაგებლის ურთიერთშეჯერებისა და მტკიცებულებათა კვლევის შედეგად, არსებითად განსახილველი საკითხია და უზრუნველყოფის ღონისძიების ეტაპზე გადასაწყვეტ საკითხთა კატეგორიაში არ შედის. შესაბამისად, საქმეზე არსებითად მსჯელობის შედეგად, თუ დადგინდება, რომ ი. პ. სასარჩელო მოთხოვნაზე პასუხისმგებელ სუბიექტს არ წარმოადგენს, მის მიმართ სარჩელი არ დაკმაყოფილდება და გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც გაუქმდება. ამასთან, პალატა დამატებით განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მის სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ნ. გ.-ს მთელი ქონება სარეალიზაციოდ გავიდა, ასეთ ვითარებაში, გ. პ.-ს სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, გადაწყვეტილება შეიძლება აღუსრულებელი აღმოჩნდეს. მითითებული მსჯელობისაგან განსხვავებული მტკიცება საქმეზე არსებითად მსჯელობის საგანია.

პალატა ყურადღებას ამახვილებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის „დ“ პუნქტზე, რომლის თანახმადაც სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელის წარდგენისას, რომელზედაც მიქცეულია გადახდა – სადავო ქონებაზე აღსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

პალატა დამატებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196 მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას. ამ მიმართებით, პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე მასზედ, რომ მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს აღსრულების შეჩერება არა ნ. გ.-ს ყველა უძრავ ნივთზე, არამედ თბილისში, წ.-ს გზატკეცილზე, XX ჩიხში მდებარე NX და NX, X ბლოკი, I სართული, ბინა №X, საერთო ფართობი: 76,51 კვ.მ, ს.კ. № XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX. უძრავ ნივთზე, შესაბამისად, თუ კრედიტორი, უარს იტყვის ამ ეტაპისათვის სადავო ქონების აღსასრულებლად მიქცევაზე, ასეთ შემთხვევაში, მხარეთა განცხადებით, დასაშვებია, უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. რაც შეეხება მითითებულ არგუმენტზე დაყრდნობით საჩივრის დაკმაყოფილებასა და აღსრულების შეჩერების ნაწილობრივ გაუქმებას, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოვა სააღსრულებო



ფურცლის საფუძველზე დაწყებული აღსრულების წარმართვის მართლზომიერებაზე „სააღსრულები წარმოებათა შესახებ“ კანონის შესაბამისად¹.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის (საჩივრის) თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე, 372-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა

1. ი. პ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 ივლისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე;
3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზლაძე

გოდერძი გიორგიშვილი

¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 სექტემბრის საქმე №ას-786-743-2015 განჩინება